# სამშობლო

წ. I 1915 წ. შაბათი 18 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ ო მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 60 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 60


ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".


ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

მეუღლე გაბრიელ ერმალოზის ძე შოთაძე დედა, მარინე ლევანის ასული ჯანგავაძისა, მამამთილი ერმალო დავითის ძე და დედამთილი დარია სიმონის ასული შოთაძენი, მაზლი ვალერიან და რძალი პეპა, მულები: მარუსია, პელაგია, ანიჩკა და თამარა შოთაძენი, დები სონა ბებიაშვილისა, მაშო კუპრაძისა, ნადია ჟვანიასი, ძმა და დები, შალვა, თამარა და ლარისა მეთოდეს ძე და ასულნი ჯანგავაძეები, სიძეები: ივანე სიმონის ძე ბებიაშვილი, ნესტორ პორფირეს ძე კუპრაძე, ბესარიონ ეგნატეს ძე ჟვანია და პროკოფი სიმონის ძე გეგენავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს უდროვოთ გარდაცვალებას

**ნინა მეთოდეს ასულის შოთაძისა.**

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს ექვს საათზე ივანოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება კვირას 19 აპრილს, საღამოს 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. კერძო წერილები არ დაიგზავნება. 2—1—165

19 აპრილს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის შტაბ-როტმისტრის ნიჟეგოროდის პოლკის

**თ-დ მიხეილ დიმიტრის ძის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი: მეუღლე კნეინა ელენე დიმიტრის ასული მიქელაძისა, მამა თ-დი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე, დედა ირინე კონსტანტინეს ასული მიქელაძისა შვილებით.

პანაშვიდი დაიწყება დილის თორმეტ საათზე. 1—1 166

მწარე ხვედრით გულდათუთქული მშობლები: კაცია მალხაზის ძე გამყრელიძე, მეუღლე მისი ნადეჟდა ილიას ასული შვილებით: მიხეილ, ლევან და კონსტანტინე, კნ. მარო კაციას ასული წერეთლისა, თამარა—ჩხეიძისა, საშა და ვარვარა კაციას ასულნი, მარო გრიგოლის ასული გამყრელიძისა, თ-დი შალვა სიმონის ძე წერეთელი და ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე ჩხეიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარ შვილისა, მეორის დის, მესამის მულის და უკანასკნელთა ცოლის-დის

**ოლინკა კაციას ასული გამყრელიძის,**

რომლის დაკრძალვაც მოხდება 18 აპრილს, დღით ხუთშაბათს სოფ. ზოდში.

დუნდუას პროფესიონალური შკოლა ამით აცხადებს, რომ კვირას 19 აპრილს, ადგილობრივ საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის

**ნიკო თ. მკურნალის**

სულის მოსახსენებლათ და სთხოვს განსვენებულის ნათესავთა და მეგობართ პანაშვიდზე დასწრებას. 2—1 164

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა დ ა კ ლ ე ბ უ ლ ს ფ ა ს ე ბ შ ი

**ქუთაისის თეატრი**

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 18 აპრილს, წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა გურულების ცხოვრებიდან

**I. ო რ ი გ მ ი რ ი.** 3 მოქმ. ვალ. გუნიასი.

**II. „ოთხი არშიყი ერთად".** ვოდ. 1 მოქმ. ბოლქვაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ა ნ ო ნ ს ი: ხვალ წარმოდგენილი იქნება „დამთხვეული დედაკაცი" კომ.-ფარსი.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი.**

ხუთშაბათიდან, 16 აპრილიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.

**I. რუსული სამხედრო ქრონიკა.** გამოც. სამხ. კინემატ. განყოფ. სკობელევის კომიტეტისა, რომელიც მისი იმპატ. უდიდ. მფარველობის ქვეშ იმყოფება. 5 სერია.

**II. ქ ა ლ. რ ა პ ა რ უ ს.**

სენსაცია! **III.** სენსაცია!

**მ ე ფ ე, კ ა ნ ო ნ ი დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა**

სენსაც. დრამა 4 ნაწ. ლეონიდ ანდრეევისა. მონაწილეობს გამოჩენილი მსახიობი ქალი ქ-ნ ჟიხორევა.

რადგანაც ამ სურათების შეძენა ძვირათ დაგვიჯდა, ფასები მომატებულია. ლოჟა—14 შ.; 1 ადგ.—3 აბაზი; 2 ადგ.—2 აბაზი; 3—5 შაური. მოსწავლეებისთვის ფორმის ტანისამოსში მეორე ადგილი 5 შ.

დასაწყისი 1 სეანსისა—$6^1/_2$ ს., 2—8 ს., 3—$9^1/_2$ ს. და 4—11 საათ.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური და ჯერ არ ნათამაშები სურათი. 1) **„გარყვნილი დედის ქალი"**. მხატვრული და იშვიათი დრ. 4 ნაწ., ცნობილ მსახ. ქალის ცხოვრებიდან. უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახ. ქალი ნატალია ივანეს ასული ტამარა. მონაწილეობენ პეტროგრადის თეატრის გამოჩენილი მსახიობები. **ჩვენი დღეის საკვირველებანი.** 2) „პერემიშლზე ყუმბარების დაშენა რუსის არტილერიისაგან". 3) პერემიშლის აღების გამო სამადლობელი პარაკლისის გადახდა წითელ მოედანზე.

ძველი მეაბრეშუმეებისათვის ცნობილი ფირმის

## „ძმათა პასხალიდის"

## აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

**ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;**

**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანჩილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის მაღაზიაში** ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

**ვისაც სურს** შეიძინოს **კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი** უნდა მიმართოს **ნიკოლოზ ბურასს** მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით **„პასტერის"** სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ, რომ ბ.ბ. მეაბრეშუმეები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

**ძმ. ადამიდის მაღაზიაში, ქუთაისში.**

10—9—149. პატივისცემით **ნიკოლოზ ბურასი.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ. თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

**„Н О В О Е С Л О В О"**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

**ექიმი ი. ჩარკვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დ რ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**გ ა მ ო ც დ ი ლ**

**სტუდენტთა ამხანაგობა**

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. უ.

**გამოცდილი რუსი**

**მასწავლებელი ქალი**

სპეციალისტი რუსულსა და მატემატიკურ საგნებში ამზადებს ეგზამენებისა და ხელმეორე გამოცდისათვის ყველა კლასის მოსწავლეებს. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი ცნობილიძისა ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 5—4

ჯარისკაცის ილია ჯაფარიძის მეუღლემ

**დ ა ვ კ ა რ გ ე**

თხოვნა სამხედრო უფროსის სახელზე დაწერილი და ოთხი შვილის წლოვანების მეტრიკა. მპოვნელს ვსთხოვს ეს დოკუმენტები გადასცეს „სამშობლოს" რედაქციას. 3—2—უფ.

**სტუდენტი,** უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისთვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე" და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლიძის სახლი.** 14—12

## ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 16 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. ნემანიდან ჩრდილოეთით მტრის მოწინავე ჯარებმა როსიენი გაიარეს და 15 აპრილს, დილით მდ. დუბისის ხაზთან მივიდნენ. მაღლ პირზე არტილერიის ცეცხლის სროლაა. უკანასკნელ დღეებში მზვერავთა რაზმებს შორის შეტაკება გახშირდა. ნემანიდან დასავლეთით და ნარევიდან ჩრდილოეთით 14 15 აპრილის განმავლობაში ბევრ ადგილას გერ-

# დღეს რა მოხდა.

**ოსმალეთის ასპარეზზე:**

13 აპრილს, ოლთისის გეზით რუსის ჯარმა ოსმალების საზღვრებში რამდენიმე პუნქტი დაიპყრო.

**აღმოსავლეთის ასპარეზზე:**

კალვარიისა და სუვალკის რაიონებში გერმანელების იერიშები რუსის ჯარმა ადვილათ მოიგერა. პისასა და შკვას შუა, უჟოკის უღელტეხილთან და აგრეთვე სტრიის გეზით მოტანილი მტრის იერიშები წარმატებით არის მოგერებული. აგრეთვე დუნაეცისა, კოზიუვკისა და გოლოვეცკის რაიონებში რუსის ჯარი მტერს ამარცხებს

**დასავლეთის ასპარეზზე:**

შამპანში ბოსეჟურის რაიონში ფრანგებმა 300 მეტრის სიგრძის თხრილები დაკრაგეს თხრილების ნახევარი დაიბრუნეს. სადგურ ბოლვილერს, შამბლს, არნავილნს და პუნქტ შამბლე-ტიოკურს ფრანგები ყუმბარებს უშენენ. იპრთან ბრძოლის დროს გერმანელები ჰაერის მოსაწამლავ ნივთიერებას ხმარობდენ. მოკავშირეთა ძალებმა გალიპოლის ნახევარ-კუნძულის ერთი ხაზი დაიპყრეს. მოკავშირენი სარიბაირთან წინ მიიწევენ.

მანელებს კერძო ხასიათისა და გაუმდავი იერიშები მოჰქონდათ. კალვარიისა და სუვალკიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში მტრის შეტევა ჩვენ მიერ ადვილათ იქნა მოგერებული. პისასა და შკვას შუა კრუმა-სერაიარზე მოტანილ იერიშის დროს მტრის ჯარი ჩვენი ტყვიისმტყორცნელების ჯვარედინ ცეცხლის ქვეშ მოჰყვა და დაქსაქსული დიდი ზარალით უკუქცეულ იქნა. სოფელ ტარტანის რაიონში მტერი ტყუილათ შეეცადა ჩვენი სანგარების აღებას. აგრეთვე მტერი ტყუილათ ცდილობდა წინ წაწევას პრასნიშიდან ჩრდილოეთით და რაჩიონჟა-დრობინადან აღმოსავლეთით. სტაროჟებთან გერმანელები ცეცხლის ალში გაეხვივნენ. კარპატებზე უჟოკის უღელტეხილთან ლუპნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეზე, 15 აპრილის წინა ღამეს მტერმა უნაყოფოთ მოიტანა იერიში. სტრიის გეზით, გოლოვეცკოს რაიონში მტერს განმეორებით მოჰქონდა იერიშები, მაგრამ ხიშტებით უკუვაგდებდით ხოლმე.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 16 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ბელგიაში მდგომარეობა უცვლელია. ჩვენ აქ სამი დღის ბრძოლის შემდეგ დაჭერილ ადგილს ვამაგრებთ. შამპანში ბოსეჟურის რაიონში გერმანელებმა წინ გამოწეული ჩვენი თხრილების მთელი რიგი დაიჭირეს, რომელსაც 300 მეტრ. სიგრძე ჰქონდა. დაკარგული თხრილების ნახევარი უკანვე დავიბრუნეთ. მარიტერებთან არგონის სიმაღლეზე მტერს ჩვენზე იერიში უნდოდა მოეტანა, მაგრამ ჩვენი ცეცხლით შეჩერებულ იქნა. ეპარჟთან ჩვენს პოზიციებს გერმანელები ყუმბარებს უშენდნენ, თუმცა იერიში არ მოუტანიათ. გარტმანვაილერის მწვერვალსაც ყუმბარები დაუშინეს, აქაც იერიში აღარ მოუტანიათ. 14 აპრილს, სადგურ ბოლვილერზე ჩვენმა ჰაეროპლანებმა 32 ყუმბარა ჩამოაგდეს და სადგურ შამბლზე 60, სადაც სამხედრო მასალის საწყობი დაიწვა. ჩვენი ჰაეროპლანების ღამით ნასროლ ყუმბარების ქვეშ მოჰყვნენ სადგური არნავილნი და პუნქტი შამბლე-ტიოკური. 15 აპრილს, ჩვენმა ჰაეროპლანმა დირიჟაბლის ანგარებს ექვსი ყუმბარა ესროლა. მფრინავისაგან ხშირი კვამლია შემჩნეული სადგურზე, ხიდებზე და ქარხანა ლეოპოლდზე 21 ნასროლ ყუმბარისა. ყუმბარების დაშენის დროს ჩვენი ერთი მფრინავი გერმანელების ბანაკის რაიონში ჩამოვარდა. ჩვენი მფრინავები გერმანელების ოთხ ჰაეროპლანს გამოეკიდნენ და წამოეწივნენ. ერთ მფრინავს ცეცხლი გაუჩნდა და მტრის რაიონის საზღვარზე ჩამოვარდა, ორი ბრაიონის ახლოს და ერთიც ჩვენი თხრილების შამპანვიურტისა და ანკრის იმ რაიონში, სადაც ისინი ჩვენი არტილერიის ცეცხლით განადგურებულ იქნენ. მეოთხე ჩამოვარდა რეიმსის დასავლეთით ჩვენი ბანაკის ახლოს მოლზონთან. გერმანელების ორი გადარჩენილი მფრინავი დავატყვევეთ.

**ლონდონი.** 16 აპრილი. ფელდმარშალი ფრენჩი იუწყება: იპრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით გუშინდელ დღის განმავლობაში ბრძოლა გრძელდებოდა. ინგლისისა და საფრანგეთის შეერთებულმა ჯარმა გერმანელების იერიში უკანასკნელათ შეაჩერა, რომელიც აღარ განმეორებულა. იზერის არხის დასავლეთით გუშინ დილიდან გერმანელების ჯარი არსადა სჩანდა, გარდა სტეენსტრაკთან მდებარე ადგილისა, სადაც მტერმა ხიდის წინ სიმაგრე გააკეთა. ინგლისელებმა და ფრანგებმა მტერზე კონტრიერიში მიიტანეს. იპრის წინ წამოწეულ ადგილას ჩრდილოეთით გერმანელები, როცა წინააღმდეგობას გვიწევდნენ ჰაერის მომწამვლელ ნივთიერებით სარგებლობდნენ, რაც ჰააგის კონვენციის დარღვევას ნიშნავს. სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ მიუხედავათ ოსმალების შეუპოვარი წინააღმდეგობისა მოკავშირეთა ძალებმა ის ხაზი დაიჭირეს, რომელიც გალიპოლის ნახევარ კუნძულის ბოლოზე გადადის. ჩრდილო აღმოსავლეთის კონცხ სედილ-არლიკის პუნქტიდან მდინარის შესართავამდი მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. სარიბაირთან შეუჩერებლივ წინ მივიწევთ. ოსმალები მოსაგერებელ ბრძოლისთვის მოემზადნენ. ისინი ცდილობდენ ჯარის გადმოსხმის წინააღმდეგ წყალში მავთულიანი ღობეების გაკეთებას. მოკავშირეთა ჯარის მიერ გადალახულ ხელოვნურ დაბრკოლებათა შორის ღრმათ გათხრილი ორმოებიც იყო, რომლის ძირზეც პალოები იყო დასმული.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 16 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 13 აპრილს, ოლთისის გეზით ოსმალების საზღვრებში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე პუნქტი დაიჭირა. სან-გიადუკის უღელტეხილზე აზერბეიჯანში ჩვენს ჯარს მტერთან მცირე შეტაკება ჰქონდა. სხვა გეზებზე მდგომარეობა უცვლელია. გაზეთები ჰაავასიდან მოსულ ცნობას აქვეყნებენ, რომ როგორც ხმები დადის, ვითომ კრეისერი „ლეონ-გამბეტა“ 14 აპრილის წინა ღამეს ნაღმით ადრიატიკის ზღვაზე აფეთქებულა. ეკიპაჟზე მყოფთა დიდი ნაწილი გადარჩენილია.

# სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.)

**რომი.** 15 აპრილი. „ჟიორნალ-დიტალიამ“ დეპეშა მიიღო იტალიის კონსულსა და ავსტრიის საბაჟო სადარაჯოს კაპიტანს შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ, რომელიც გაჩხრეკის მიზნით იტალიის გემის შეჩერებამ გამოიწვია. იტალიის კონსულმა რამდენჯერმე ითხოვა გემის განთავისუფლება, მაგრამ უარით უპასუხეს. მაშინ იტალიის კონსულმა ავსტრიის მთავრობას მიმართა. მთავრობამ აფიცერს უბრძანა გემიდან გადმოსულიყო. იტალიის კონსულმა ამ ინციდენტის შესახებ თავის მთავრობას აცნობა.

**ნიში.** 14 აპრილი. ამ დღეებში ოსმალეთის გენერალი ყარასაიდი ავსტრიის აფიცრების თანხლებით ალბანიას წავიდა, სადაც ალბანელებს ახალი ამბოხებისთვის მოამზადებენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ხმები ზავის შესახებ.**

გერმანიის პრესაში თანდათან ძლიერდება კამათი ზავის ჩამოგდების შესახებ. კონსერვატიული პრესა დაჟინებით მოითხოვს რუსეთთან ზავის ჩამოგდებას, ვინაიდან გერმანიას თავისი ეკონომიური განვითარებისათვის ისეთი შანსები, როგორც რუსეთში, არსად არ აქვს და რუსეთის ბაზარი გერმანიამ არავის არ უნდა დაუთმოსო. ამავე აზრის არის ვესტფალიის მექარხნეთა პრესაც: რუსეთი ეჭვგარეშეა კლიენტი იქნება ომის შემდეგ გერმანიისათვისაო, დასძენს უკანასკნელთა პრესა.

„Kreuzztg“-ი, პირიქით, საზოგადოებას აშინებს რუსეთის შეჭრით ბალკანეთის კუნძულზე. გაზეთი აცხადებს, რომ ზავი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი კონსტანტინეპოლსა და დარდანელზე ხელს აიღებს.

„Frankf-Ztg.“-ი გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ მოლაპარაკებას ზავის შესახებ და ამტკიცებს, რომ გერმანიას შეუძლია უფრო ხანგრძლივათ იბრძოლოს, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგეებმაო. გერმანიას არავისთან ზავის შეკვრა არ ესაჭიროება, განსაკუთრებით კი რუსეთთან და ეს იმიტომ, რომ გერმანიისა და რუსეთის ინტერესები ოსმალეთის საკითხის გამო ყოველთვის ერთმანეთს შეეჯახებიან და გერმანია რუსეთს არ მისცემს ნებას ოსმალეთის დანაწილებისა და ბოსფორზე გაბატონებისასაო.

— —

„ჟიორნალ დ'იტალიის“ ცნობით, ავსტრიასთან მოლაპარაკება სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

„პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტისთვის ბულგარეთის სამხედრო მინისტრს, გენერალ ფიჩევს, შეკითხვაზე—მიემხრობა თუ არა ბულგარეთი სამთა შეთანხმებასო —შემდეგი უთქვამს:

მე ჯარის კაცი ვარ და პოლიტიკას არ მივსდევ, მხოლოდ შემიძლია ვსთქვა, რომ, თუ სამთა შეთანხმების სახელმწიფოები ბულგარეთს მისცემენ იმ გარანტიას, რომელსაც ის ითხოვს, მაშინ ბულგარეთი ბევრ რასმე გააკეთებს და თავს ისახელებს ისე, როგორც ისახელა თავი პატარა ბელგიამო.

**იაპონია და ჩინეთი.**

ჩინეთთან მოლაპარაკების გამწვავების გამო იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სთხოვა მინისტრებს არ გაშორდნენ ტოკიოს.

ხმებია, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა მტკიცეთ დაიცვას განზრახული მიზანი, თუნდაც მესამე სახელმწიფო ჩაერიოს საქმეში.

ვაშინგტონის მთავრობამ აცნობა პეკინისას, რომ ჩინეთ იაპონიის კონფლიქტში იგი ნეიტრალობას დაიცავსო.

# ახალი ამბავი.

ხვალინდელ ჩვენს ილუსტრირებულ დამატებაში მოთავსებული იქნება: „სამშობლოს დედა“ მოთხრობა შ. ყიფიანისა და „ტანჯვის ქალაქი“ ლექსი ნ. ჩხიკვაძისა. სურათები—: საქართველოს უკანასკნელი მეფეები ირაკლი II და გიორგი XII, ხევსურების დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორის წინაშე თფილისში ყოფნის დროს და დაჭრილი ჯარის კაცები.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა კამერიუნკერმა პოტულოვმა მოუსავლობით დაზარალებულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის თავჯდომარეს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს უკანვე გამოუგზავნა დამშეულების სიები. ბ. გუბერნატორი თხოულობს, რომ სიები შემოწმებული იქნეს მაზრების თავად-აზნაურობის მარშლებიდან და არა სოფლის სხვადასხვა კომისიებიდან. სიები ყველა წოდებისა, როგორც აზნაურობისა, სამღვდელოებისა, გლეხობისა და სხვა წარდგენილი უნდა იქნეს ცალცალკე. სიებში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს, თუ თითო ოჯახი რამდენ სიმინდის საჭიროებას.

✦ 16 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავჯდომარეობით შესდგა დამშეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის კრება. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა მოიწვიონ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება 15 მაისს, ამ კრებაზე სხვათა შორის გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) დაფაროს სააღგილ-მამულო ბანკმა ის ვალები, რომელიც ადევს ქართულ გიმნაზიას, 2) შეიძინოს თავად-აზნაურობამ ბანკზე დარჩენილი ერთი სახლი და სხვა.

✦ 16 აპრილს, ღამით მანდიკორსა და მის ახლო-მახლო სოფლებში თოვლი მოსულა. თოვლს ვაზები და ახლად გამოსული ხეები ძალზე დაუზიანებია, როგორც გადმოგვცეს მანდიკორში შიმშილობაც დაწყებულა.

✦ ბ. გუბერნატორის განკარგულებით, ხვალ, 19 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შედგება მდაბიო მოქალ. საზოგადო კრება, რომელზედაც გარჩეული იქნება 1) მოქალაქეთა შორის ხარჯების განაწილება სამართველოს შესანახათ და 2) ხარკის ამკრეფის არჩევა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ სააღგილ-მამულო სახელმწიფო ბანკის კავკასიის განყოფილების გამგეობის წინა-

# გიორგი მესამე.

**დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.**

(შემდეგი. იხ. „სამშობლო“ 59-ე №)

მოქმედება IV.

(სცენა წარმოადგენს მეფის ბანაკს. დგას რამდენიმე კარავი. კარვების წინ დადიან დარაჯნი ამოღებული ხმლებით მხრებზე. მეფის კარავი დგას სცენის სიღრმეში და კარზე ფეხუცვლელად ორი დარაჯია დაყენებული. აქა იქ სცენაზე დიდი ხე სდგას. ერთი ხის ქვეშ ნოხგადაფარებული გძელი სკამი;—შორს მოსჩანს ლორის ციხე, მეფის ლაშქრისაგან ალყა შემორტყმული).

(სკამზე სხედან გაბრიელ ბერი და ჯავახიანი. მოშორებით დგას ყაითაძე).

**ჯავახ** (კითხულობს) ჩვენ, მეფე თ მეფემან, სოლომონიან-დავითიან-ბაგრატოვან, ძემან მეფისა დიმიტრისა ქველისამან, გიბოძეთ ამა შეწყნარებისა წერილი მას შინა, რომელ რაიცა ოდენ ორგულობასა ჩვენსა და ქვეყნისა ა ვწამობდეთ სეფისწულსა დამიტრის და მხლებელთა მისთა თავადთა და აზნაურთა და მოჯანყეთა ან, რომელნიცა იმაგრიან თავთა ციხესა ლორისასა, უკეთუ ნებითა მათითა წარსდგებიან წინაშე ჩვენისა, მიუტეოთ ესე ცდომანი მათნი და შეუნდოთ. აწ რამანცა ძემან, ანუ ასულმან კაცისამან, სამღვდელომან, ანუ საერომან, ძლიერმან ანუ მცირემან, დაშალოს ანუ წაჰყვედროს წყალობისა პირობაი ჩვენი ესე, ისიმც შერისხულ იქმნების სჯულსაგან ქრისტესა, მას რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, წაცაე დების კთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი და წყეულიმც იქნების შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან. ხოლო დამამტკიცებელნი წერილისა ამის, იკურთხოს აწდა მარადის. ამინ. ხელს ვასხამ მეფე ქართლისა, ივერთა ხელმწიფე **გიორგი.**

**გაბრიელ.** გმადლობთ ბატონო! სხვებზე ბეჯითს ვერ მოგახსენებთ

და უფლისწულსა, თუ ვიცოცხლე, აქ მე გაჩვენებთ.

თქვენ რომ იცნობდეთ, ჰე ბატონო!.. რა ყმაწვილია!

უშიშრად ვიტყვი: ცის ნაკურთხი, მეფის შვილია.

მაგრამ რად გინდათ, თქვენში რად ღირს მაგისი გული,

მისი გონება, ხასიათი ამაღლებული?

თქვენ გეჭირვებათ მეომარი, კაცი უხეში.

**ჯავახ.** უხეში არა, ხოლო ვაჟი, ჯერ არს მამაცი.

მაგრამ რა ერთხელ უფლისწული ჩვენკენ წამოვა,

მისნი მომხრენი გაჯიუტდენ, მით რა გამოვა?

**გაბრიელ.** მეც აგრე ვგონებ: რა გაუვათ?!!

**ჯავახ.** ერთი ეს მითხარ

ამ სიგელსა აჩვენებ რა, სად შეინახავ?

სხვასთან არ დარჩეს, მოიფიქრე, გონიერი ხარ.

**გაბრ.** როგორც მიბრძანებ! მე მექნება, გულში ჩავმარხავ.

**ჯავახ**, შენ... დიახ, შენა! გერწმუნები მარტოკა შენა.

მოყვანებსა ყველას ვიცნობ, გრძელი აქვთ ენა!

მეფე გაჯავრდა, ჯერ არ გახდა მაგის ყაბული.

ბრძანა თუ „სიტყვა დიდი აქვთო და მოკლე სული,

არ დაიყვედრონ შევაშინეთ ჩვენი მეფეო!

ერთიღა მხოლოდ მეცოდება ჩემი ძმის ძეო!“

ხელს ვეამბორე, დავიჩოქე, მაშინ მიბრძანა:

„მაშ გახსოვდეს, პასუხს აგებ შენ, ყუბარსანა“.

ხედავ გაბრიელ! ვაგებ პასუხს ჩემი თავითა!

სულიერს, სათნოს, შენ გენდობი მამასავითა,

**გაბრ.** მძევლათა გაძლევთ ჩემსა წმინდა სარწმუნოებას.

**ჯავახ.** მჯერა გაბრიელ და აწ მივყვეთ უფლისა ნებას.

**გაბრიელ.** გმადლობ... გაკურთხოს ღვთისმშობელმა! გმადლობ ბატონო.

**ჯავახ.** აი, მამაო! გახსოვდეს კი ესე სიგელი:

სულთანა გქონდეს, ვინიცობაა არ მოიშორო,

ე, მანდ, უბეში შეინახე (ანიშნებს უბეს) ერთი საშველი,

სიკვდილ-სიცოცხლის ეგ საბუთი, ძლივ მიშოვნია,

დიდი სიფრთხილე საჭიროა! როგორ გგონია?

**გაბრიელ.** რა ბრძანებაა, განა არ მესმის!..

**ჯავახ.** აჰა სიგელი, მაშ მშვიდობაში!.. (სიგელს აძლევს, ბერი უბეში ინახავს, თავს დაუკრავს და გადის) ე, შენ ყაითაძე, აქ მო! (დაფიქრდება, ცოტა ხანს სიჩუმე).

**ყაითაძე.** მიბრძანეთ ბატონო?

**ჯავახ.** ეს ბერი ხომ ნახე?

**ყაითაძე.** დიახ, ბატონო! უფლისწულის დიმიტრის ლალა.

**ჯავახ.** ლალა, ჰო ლალა, მაგრამ ჯაშუში და აეშაგი.

**ყაითაძე.** (გაოცებით) რას მიბრძანებთ, ვინ იფიქრებდა... სალვდელო პირი?..

**ჯავახ** გამიგონე, შენ კი ნუ მესაუბრები, ყური დამიგდე კარგად! ეს კაცი აეშაგია, ძლიერ მავნებელი, იქითაც არის და აქითაც. მეფემ მიბრძანა, ჩემი ძმისწული დიმიტრი გამომიყვანე ციხიდან როგორმეო და იმ ბერს წერილი მივეცი. ხომ დაინახე ის წერილი?

**ყაითაძე.** დიახ ბატონო!

**ჯავახ.** იმ წერილის ძალით, უფლისწული უნდა გამოიპაროს ციხიდან და მოვიდეს აქ; მაგრამ მოვა იგი თუ არა და იმ საათში ის წერილი ისევ ჩემ ხელში უნდა მქონდეს.

**ყაითაძე.** რა რიგად ბატონო?

**ჯავახ.** რა რიგად!

**ყაითაძე.** დიახ!

**ჯავახ.** ბიჭო, შენ უფრო მახვილი ჭკუის მეგონე.

**ყაითაძე.** რა ვქნა ბატონო?

**ჯავახ.** აი რა ჰქნა: ბერმა რომ წერილი უბეში შეინახა დაინახე?

**ყაითაძე.** დიახ, ბატონო!

**ჯავახ.** რომელ უბეში შეინახა, ხომ გახსოვს?

**ყაითაძე.** მახსოვს, ბატონო!

**ჯავახ.** მაშ უნდა ამოართვა და მომიტანო, მეტი არაფერი. სულ უბრალო საქმეა!

**ყაითაძე.** რომ არ დამანებოს ბატონო?! ხმა გააბას?

**ჯავახ.** თუ სთხოვე არ დაგანებებს.

**ყაითაძე.** აბა ძალით უნდა წავილო?

**ჯავახ.** ძალით უნდა წაილო!

**ყაითაძე.** რომ დაიძახოს, იყვიროს?

**ჯავახ.** არ უნდა იყვიროს.

**ყაითაძე.** როგორ, ბატონო?

**ჯავახ.** ისე უნდა დაჩუმდეს!

**ყაითაძე.** იარაღი რომ დამჭირდეს?

**ჯავახ.** ეგ შენი საქმეა. წადი ახლა (ხელით დაითხოვს) ხომ გაიგე კარგად?

**ყაითაძე.** გავიგე ბატონო.

**ჯავახ.** წადი ახლა, არაფერი შეგცდეს. პირზე აიფარე; არ გიცნონ!.. უეჭველად... გესმის?.. უ-ე-ჭველად! (თავს უკრავს და გადის. ჯავახი მარტო მძიმედ დაფიქრებული ზის.)

ააჰ! დავიღალე! თავი სკდება! ლონეც მაკლდება!

ერთობ ქვეყანა აირია და გული კრთება. (მწარე ღიმილით).

თუ-მე რა ერთხელ ფეხსა ჩადგამ სიავეშიდა,

უკან ვერ იხევ და მიდიხარ შიდა და შიდა,

როგორც საფლობში ძირს, ძირს. ახ!

(უცებ ბეჯითად) არ არის დრო

აწლა მაგაზე სჯა-ფიქრისა, უნდა ვიკადრო

ორში ერთი! ან თავი წამჭრან მე ხბოსავითა

ან გავიტანო დაწყებული კვლავ სიავითა.

(მიდის მეფის კარავისაკენ. შემოდიან სოსლანი, გამრეკელი და მესხი.)

**მესხი.** სამწუხარო ამბავია, სწორედ გულსაკლავი!.. ვერც დავიჯერებ, რომ შალვა ჯაყელი, ხელმწიფის ორგულობაში გარეოდეს.

**სოსლანი.** ვერ დაიჯერებმიტომ, რომ.

**მესხი.** იმიტომ რომ?!..

**სოსლანი.** იმიტომ რომ... ადამიანის გულსა მრავალი კუთხე აქვს, და... ყველას ვერ გამოსჩხრეკს მეორე კაცი...

**გამრეკელი.** სწორედ მოგახსენოთ ბატონიშვილო, მეც ძალიან მიკვირს, მაგ ყმაწვილის ამბავი!.. მეფე სწყალობდა, ტოლებს სასიქადულო რაინდად მიაჩნდათ. მისი სათაკილო საქციელი ჯერ არ გაგონილა და.. ახლა კი რა ძაცდური ჩასჯდომია თავში, ვერ მიმხვდარვარ.

**სოსლანი.** გავს მაცდური ერთობ ძლიერი ყოფილა და ვერ გაუძლო!.. ეს მითხარით: აქ რისთვის დაიბარეთ, თუ დასასჯელია, ქალაქს უფრო ადვილი არ იყო?

**გამრეკელი.** ხელმწიფემ ბრძანა, დასჯა ლაშქარმა უნდა დაინახოსო! ეხლავ აქ უნდა მოვიდენ.

**სოსლანი.** ზაქარია მოყვება, არა?

**გამრეკელი.** დიახ ბატონო!

**მესხი.** თუ ხვაშიადი არ არის, გვიბრძანეთ, რა სასჯელი ადევს?

**გამრეკელი.** ჯერ მაგაზე ბრძანება არ არის; მაგრამ კითხვაც არ უნდა, თუ ცნობილია მოღალატედ, რა მოელის. (შემოდიან: მხარგრძელი, ერთი ოფიცალი და რამდენიმე მხედარი; მოჰყავთ ჯაყელი ჯაჭვით ხელ-დაბმული. ჯაყელს აცვია კაბა და ნაბადი აბურავს, ნაბადისავე ქუდი ხურავს. სხვები კი მეზარად-ჯავშანში არიან).

**გამრეკელი.** / **სოსლანი.** / **მესხი.** — გამარჯვება ზაქარია, ვამარჯვება მხედართ. (ამ სიტყვებთან, მარჯვენა ხელის თითებს ჯვარად დაწყობილს ასწევენ თავის სისწორეზე.

**მხარგრძელ.** / **მხედარ.** — (ასეთივე სალამით) გაგიმარჯოსთ ბატონებო, გაუმარჯოს მეფეს. (პაუზა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე შუამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისის გუბერნიის მამულები ვაჭრობაში არ ჩააგდონ, რადგანაც ამ გუბერნიაში დიდი შიმშილობაა და მცხოვრებლები კრიზისს განიცდიან.

✦ ქუთაისის ქალაქის ფერშლათ, ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს სამედიცინო განყოფილებამ დანიშნა ვლადიმერ ბესარიონის ძე კობახიძე.

✦ დღეს, 18 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულია სასკოლო კომისიის კრება. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლების ჯამაგირების მომატების შესახებ.

✦ ინჟინერ ქურდიანისა და ამხ. ტეხნიკი ნაჭერალას ქედისაკენ ქუთაისის წყალსადენის გამოსაყვანათ გზების გამიჯვნას უკვე შეუდგა. წყალის სადგური მოთავსებული იქნება მწვანეყვავილაში ბ. კანდელაკის ეზოში, საიდანაც წყალი მილებით მთელი ქალაქის მცხოვრებლებს დაურიგდება. გზების სრული გამიჯვნა ივნისამდის უნდა დასრულდეს.

✦ ჯაფარიძესა და იოსელიანს, რომლებიც მღ. კაპანაძეს დაეცენ და ფული გაიტაცეს, დახრჩობა სამუდამო კატორღათ შეუცვალეს.

✦ მწვანეყვავილის მცხოვრებლები ამ ჟამათ უფარნობის გამო მეტად შეწუხებულნი არიან.

✦ სამხედრო საკრებულოს ცნობით ქუთაისის მაზრიდან ახალგაზდებს ჯარისკაცად მაისის შუა რიცხვებში გაიწვევენ.

✦ დღეს, 18 აპრილს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ოთარ ანჩაბაძის და გიორგი კატალანძის სისხლის სამართლის საქმეს.

✦ გუშინ ქუთაისის ბაზარზე ცუდი ამინდების გამო სოფლელებს სანოვაგე არ შემოუტანიათ.

✦ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფეებს გამოცდები 27 აპრილს დაუსრულდებათ.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა კესარია ბეკო გაბუნიას ასული და გვთხოვა გამოვაცხადოთ, რმ მას 16 აპრილს ქ. ქუთაისში სოლქო სასამართლოსკენ მიმავალ ქუჩებზე დაუკარგავს ტყავის საფულე, რომელშიც 15 მანეთამდი ფული ყოფილა და აგრეთვე ოთხი ალმასრულებელი ფურცელი სხვადასხვა ჯამისა, ასლები სასამართლოს დადგენილებისა და სხვა საბუთის ქაღალდები. მპოვნელს უმორჩილესათ სთხოვს, ფული დაიტოვოს, ხოლო საბუთის ქაღალდები გაგზავნოს დ. ბანძაში.

### თ ე ა ტ რ ი.

ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზისა გამო დღეს დანიშნული წარმოდგენა „დაძირული ზარი", სრულიად მოიხსნა. დღეს წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა გურულების ცხოვრებიდან „ორი გმირი" 3 მოქ. ვ. გუნიასი და მხიარული ვოდ. 1 მოქ. ბოლქვაძისა „ოთხი არშიყი ერთად". ადგილების ფასი სახალხოა.

— —

კ. ანდრონიკაშვილი სდგამს თავის ბენეფისში ახალ პიესას „განწირულნი", შოთა დადიანისა.

— —

ქარ. მსახიობთა ამხანაგობის ფონდის გასაძლიერებლად, იმართება სეირნობა, რომლის ნებართვაც უმაღლესმა მთავრობამ უკვე დართო.

### თფილისი.

— აკაკის სამგლოვიარო კომიტეტის შეერთებულ კრებაზე გადასწყდა, გამოსცეს აკაკის სამგლოვიარო კრებული. ამისათვის არჩეულ საგანგებო კომისიაში მოჰყვნენ: გრიგოლ დიასამიძე, სამსონ ფირცხალავა, პავლე საყვარელიძე, ექიმი ვ. დამბაშიძე, ი. გოგოლაშვილი და მ. წულუკიძე. ამ კომისიამ უკვე დაამთავრა მასალების შეკრება. სარედაქციო კომისია ამ დღეებში დაასრულებს მასალების დამუშავებას. კრებულის ბეჭდვას მაისის პირველ რიცხვებიდან დაიწყებენ და გამოვა მაისის ბოლო რიცხვებში. დაწვრილებით შინაარსი ცალკე იქნება გამოცხადებული. აგრეთვე წინდაწინ გაიმართება ხელის-მოწერა, რის შესახებაც განცხადება თავის დროზე იქნება დაბეჭდილი „სახალხო ფურცელში", „ახალ აზრში", „თემში", „შადრევანში" და სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

— გამოგონება თფილისის მცხოვრებმა მ. ა. ზუბალაშვილმა სტუდენტ ელექტროტეხნიკმა მოიგონა სრულიად უბრალო აპარატი, რომლის მეოხებითაც ელექტრონის ღილზე ხელის ოდნავ დაჭირებით შეიძლება გაიღოს კარები, თუ საჭიროება მოითხოვს რამოდენიმე ერთადაც. აპარატსა და კარებს შორის მანძილს მნიშვნელობა არ აქვს. მისი მეოხებით შეიძლება ქვედა სართულიდან ზედა სართულშიაც გაალო კარები. ცხადია ეს გამგონება დიდ სამსახურს გაუწევს საზოგადო დაწესებულებათ და საზოგადო გასართობ ადგილებს. გამომგონს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსაგან პრივილეგია მიეცა.

## კარგი საქმის ცუდი ბოლო.

(ხონიდან)

ზოგიერთი დასელი იმდენათ გატაცებულია პარტიული ქინიანობით და გაქელენთილი ფანატიზმით, რომ ჩვენი საზოგადო დაწესებულების უმოქმედობის მიზეზს იქ არ ხედავს, სადაც არის და საქმის უბედურებისა და დაღუპვის მიზეზათ მამულიშვილებს ასახელებს. ეს აზრი ქართულ პრესაში არა ერთხელ გაუბათილებიათ და დაუმტკიცებიათ, რომ კულტურულ საზოგადოებათა ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზი მამულიშვილები კი არა, არამედ სულ სხვაა. მამულიშვილობა რა შუაშია, როდესაც არის ჩვენში ისეთი დაწესებულება, სადაც მამულიშვილები არ არიან, მაგრამ რიგიანათ და კარგათ ვერც მისი საქმე წასულა. მოვიგონოთ ქუთაისის წვრილი კრედიტის საზოგადოება, მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი" და სხვა. ჩვენის აზრით, შემცდარია საქმეთა ამ დიაგნოზით განხილვა. საზოგადოების ხსნა იმაში კი არ არის, რომ მას სათავეში ესა თუ ის პარტიის ხალხი მოექცეს. აქ ფედერალისტები, დასელები, ნაციონალ დემოკრატები და სხვა არაფერი მოსატანია. უილაჯო და უმოქმედო ელემენტები ყველგან ბევრია და ეს სენი მარტო ერთი პარტიის დამახასიათებელი თვისება არ არის. ამჟამად გაკვრით შევეხები ერთს მეტად სასარგებლო საზოგადოების თავგადასავალს. ეს საზოგადოება იმ თავიდან დასელთა ხელში იყო და ახლაც ბევრია ასეთები მასში.

მეაბრეშუმეობა, ეს ერთი შემოსავლიანი დარგთაგანი, უნუგეშო მდგომარეობაში იყო ყოველთვის და უნუგეშო მდგომარეობაშია დღესაც. ხალხის დახმარების სურვილით აღჭურვილმა, განსვენებულმა ნესტორ წერეთელმა, განიზრახა ამ მხრით ხალხის დახმარება. მას ვერ წარმოედგინა მეაბრეშუმეობის განვითარება ჩარჩ-მევახშეების ხელში. ხალხის მოტყუილებას აბრეშუმის თესლის გაყიდვაში, პარკის ყიდვაში წონაში, ანგარიშში ვერ შეურიგდა ის, და დაარსა ამისი შესაფერისი საზოგადოება. ეს იყო ამ 18-20 წლის წინათ, თუ არ ვცდები 1895 წელს. საქმე მეტად სასარგებლო და საკეთილო იყო და ამ საქმეს მაშინ თანამგრძნობლებიც ბევრი გაუჩნდა. ამხანაგობა ცნობილია კუხის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის სახელით. ამხანაგობის წევრთა რიცხვი დიდი იყო და ხალხშიც დიდი ნდობა დაიმსახურა. ამხანაგობას მოქონდა და ავრცელებდა, როგორც თავის წევრებში, ისე ხალხში საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლს. იმდენათ გავრცელებული იყო ამხანაგობის სახელი და იმდენათ დიდი ნდობა ქონდა მოპოვებული ხალხში, რომ მაშინ თითქმის ყველა ამ თესლს ყიდულობდა. ეს თესლი ცნობილი იყო წერეთლის თესლის სახელით და გლეხიც უცოდინარი წერა-კითხვისა ეუბნებოდა მოვაჭრეს: თუ ღმერთი გწამს არ მომატყუო, წერეთლის თესლი მომეციო. ქალები ისე თესლს არ იყიდდენ, თუ თესლის კოლოფს კაცის თავი არ ეხატა. ეუბნებოდენ მოვაჭრეს: წერეთლის თესლს კაცის თავი ახატია და ასეთი თესლი მომიტანეო.

ამხანაგობა სხვა მხრითაც ეხმარებოდა ხალხს. ებრძოდა ხელოვნურათ პარკის ფასის დაწევას და თვით ყიდულობდა რიგიან ფასებში. ამხანაგობამ გახსნა სახელოსნოც, სადაც პარკიდან ძაფი ამოქონდათ და ამ ძაფიდან სხვადასხვა ნივთს აკეთებდენ. ერთი სიტყვით, ეს საზოგადოება ისეთი იყო, რომლის მოთხოვნილებაც უდიდესი იყო ხალხში და დღესაც არის.

პირველ ხანათ წევრებიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდენ ამხანაგობის საქმეებს. წევრებათ იყვნენ ახლო-მახლო სოფლის ბევრი გლეხები. ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება სადღესასწაულო დღეს წარმოადგენდა. თავს იყრიდენ ყოველი მხრიდან წევრები და საზოგადოების საქმეთა და მუშაობათა გაცნობის შემდეგ კმაყოფილნი და ნდობა გაძლიერებულნი შინ ბრუნდებოდენ.

ხანმოკლე შეიქნა ეს ბრწყინვალე დღეები ამხანაგობისათვის. მალე ნ. წერეთელი, მისი ერთი საუკეთესო მოამაგეთაგანი და დამაარსებელი გარდაიცვალა. ამხანაგობაში ქიშპობა და შინ-ჩემიობაც გაძლიერდა. სათავეში ამხანაგობას დასელთა მომხრე ხალხი მოექცა. მათმა უმოქმედობამ და გარეტებულმა ფანატიზმმა ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობა შესცვალა: წევრებმა ამხანაგობაზე გული აიყარეს და ეს გამოიწვია ამხანაგობის საქმეთა ცუდათ წარმოებამ. ამ რამდენსამე წლის წინათ ამხანაგობას თესლის გაყიდვაში მთავრობამ სიყალბეც კი დაუმტკიცა და შესაფერისი ოქმი შეუდგინა. უცნობის ჯიშის თესლი ცნობილი ფირმის თესლში ჩაეღვათ და ამას ამხანაგობა ხალხში ავრცელებდა.

დღეს ამხანაგობა არსებობს თუ არა, ძალიან ცოტამ იცის, მგონი წელს თესლიც კი არ შეუძენია ხალხში გასავრცელებლათ. ან კი ვინ იყიდის მათგან თესლს ზემოდ ნახსენებ სიყალბის შემდეგ. რომელიღაც ფირმაა თავმოძღვლებული, რომ მას თესლს მისცემს ხალხში გასავრცელებლათ. ახლა განგებ დავაკვირდი თესლის გაყიდვას და არც ერთი მყიდველი მოვაჭრეს არ ეუბნება: წერეთლის თესლიო. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს: „რა ვიცი შვილო, წინა წლეებში, მქონდა მაგრამ წამიხდაო."

წერეთლის თესლს რომ სახელი გაუტყდა ხალხში, ამაში ამხანაგობას მრავალმხრივი დანაშაული მიუძღვის. ერთი რომ თესლის გაყიდვაში სიყალბე ჩაიდინა და მეორე არ ებრძოდა შესაფერისათ ჩარჩებს, რომლებიც უვარგის თესლს წერეთლის თესლით ავრცელებდენ. ამგვარათ უმოქმედობამ სახელი გაუტეხა ხალხში წერეთელს და ამხანაგობის საქმეებიც დაღუპა.

აგერ გადის რამდენიმე წელი და ერთი საზოგადო წლიური კრება არ მომხდარა. არავინ იცის, თვით წევრებმაც კი, რა მდგომარეობაშია საზოგადოება, რა კეთდება მასში.

დღევანდელი მეაბრეშუმეობის მდგომარეობა ისეთია, რომ მის [illegible] გამოსაბრუნებლათ ამგვარი საზოგადოების არსებობა დიდათ საჭიროა. რაც იყო ამ 15—20 წლის წინათ, დღესაც იგივეა და ამ მხრით მდგომარეობა არაფრათ არ შეცვლილა. პირიქით, ჩარჩ-მევახშეების გაუმაძღარი მადა კიდევ უფრო გაიზარდა და კიდევ უფრო მეტათ ატყუებენ ხალხს. პირდაპირ გასაკვირველია ამდენ მოტყუილებას შემდეგ, თუ როგორ არ აიცრუვა ხალხმა გული ამ მეურნეობის დარგზე. შრომობს, უდიდეს სიმდიდრეს ქმნის და ამ შრომის ნაყოფით ამ უდიდეს სიმდიდრით, ადგილობრივი ჩარჩ-მევახშეები და ნუხა-შემახიდან მოსული სიამხები სარგებლობენ, თვით კი მშრალზე რჩებიან. ამ დარგში ატყუებენ მას ულვთოდ და ყოველმხრივ.

ამხანაგობის წევრებმა აქაც ჩვეულებრივი ქართველური ბედოვლათობა და გულცივობა გამოიჩინეს. ამხანაგობას მწარმოებლების წყალობით შეხვდა თუ არა დაბრკოლება, წევრებმა ფარხმალი დაყარეს და ბედს დამორჩილდენ. დაბრკოლების წინ ფარხმლის დაყრა და ბედის დამორჩილება ლაჩართა საქმეა და მათაც ასეთი სილაჩრე გამოიჩინეს.

დარწმუნებული ვარ ამ ამხანაგობას კიდევ შერჩენია ხალხის გულშემატკივარი ერთი-ორი წევრი. მოუწოდებს მათ—და ეს მათი მოვალეობაცაა—მეტი ყურადღება მიაქციონ ამხანაგობას და მისი საქმეები გამოაცოცხლონ. უნდა მოახერხონ საზოგადო კრების მოწვევა და ამ კრებისათვის უნდა დაამზადონ მოხსენება საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. საქმის ასე მიყუჩება და ღვთის ანაბარათ მიგდება მომაკვდინებელი ცოდვაა ყველა მის წევრისათვის.

იმედი გვაქვს, ასეთი პირები გამოჩნდებიან და ამ საქმის გამოცოცხლებაზე საკითხს აღძვრენ.

გ. ხონელი.

## თეატრი და ხელოვნება.

ბ-ნი ვასო ურუშაძე, ეს ნიჭიერი ამსრულებელი იმერული სცენებისა, კარგი ადმინისტრატორი და მასთან რწმუნებული მსახიობთა ამხანაგობისა, სრულიად სუსტი გამოდგა პიესის ღირებულების დაფასებაში

თავის ბენეფისში ბ-ნი ურუშაძე ხუთშაბათს დიდძალ დამსწრე საზოგადოებას გაუმასპინძლდა „დამთხვეული პიესით", დიახ, სწორედ დამთხვეული პიესით, რადგანაც მე სხვა სახელს ვერ ვუწოდებ იმ „დამთხვეულ დედაკაცს", რომელიც ამ საღამოს დამსწრეთ კომედიის სახელით გააცნეს.

ძალიან გვიკვირს რაზედ შეიწუხა თავი ბ-ნმა შალვა დადიანმა ამ უნიჭო ნამოქმედარის გადმოკეთებით.

---

**გამრეკ.** (მოსულთ) დამიცადეთ აქ, ხელმწიფეს მოვახსენებ. (გადის. მესხი მივა მხარგძელთან და განზე გაიწვევს).

**მესხი.** რა ჰქენ ზაქარია, ნახე დედოფალი?

**ზაქ.** ძლიერ გაჭირდა ნახვა; არავის არ უშვებენ.

**მესხი.** კაცო, მაშ შალვა უნდა მოკვდეს?

**ზაქარია.** რას ამბობ, ღმერთმა დაიფაროს!

**მესხი.** მე გეუბნები ეს ასე იქნება. თადეოსმა სთქვა გატეხილი... თუ კი მეფემ იცნო მოღალატედ შველა არ არისო.

**ზაქარია.** დავითს არ უთხარი? სთხოვოს მეფეს.

**მესხი.** სოსლანი ძალიან შორს იჭერს თავს და ავადაც ეკიდება; ვერ ხედავ რომ ხმასაც არ სცემს? ნურაფრის იმედი ნუ გაქვს. უსათუოდ დედოფალი უნდა გენახა.

**ზაქარ.** ვნახე კიდეც, როგორც იყო, გუშინწინ, როცა ეკლესიიდან მობრძანდებოდა. მოვახსენე ყველაფერი და დამპირდა, ქეშიქს გამოვადევნებ, უსტარს ვაახლებ მეფესაო. ერთი სოსლანი ვნახო, რას იტყვის. (ზაქარია მივა მასთან, მესხი შალვასთან).

**სოსლ.** (დიმილით) რასა იქ ზაქრო! როგორა ხარ? ხომ არ დაიღალე?

**ზაქარ.** გაგტეხივარ სწორედ დავიღალე, ორი ღამე არ დაგვიძინია, ორი დღე მშიერნი ვართ!.. მაგრამ ეჰ, ამის დარდი კი მაქვს?!

**სოსლ.** მაშ რისი?

**ზაქარ.** იმისა რომ, ჩემი გასჯა საკუთილოდ კი არ არის, არამედ იმ უბედურის დასაღუპავად: სასიკვდილოდ მოვიყვანე აქ. შენმა მზემ რომ რამე ეშველებოდეს, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი ისეთი ამხანაგისათვის.

**სოსლ.** სიცოცხლეს არ დაიშურებდი?! აბა რისთვის? აი რას გეტყვი ზაქრო. არც ერთი საქმე, არც ერთი გრძნობა, წრეს არ უნდა გადასცილდეს. ამას გეუბნები შენ, ამხანაგობისა სითამამით.

**ზაქარ.** მეც, სწორედ ამავე უფლებით მოგახსენებ, არ გეწყინოს კი: არც ერთ საქმეში საშვალი და ყუნჩი გრძნობა არ უნდა იკადრო, ისეთისადმი მით უმეტეს, ვისთანაც ხშირად პური მიგირთმევია და ძმობა გითქვამს.

**სოსლ.** როგორ, ზაქარია, მეფის მუხანათს ამართლებ?

**ზაქარ.** მუხანათობა არ მიქვია, რომ შვილმა თავის მამას ღვლარჭში არ ჩააკიდებინოს თავი.

**სოსლ.** კარგი ზაქრო, მაგაზე ჩვენ ნუ ვკამათობთ, ყოველი გარემოება რომ იცოდე, მაშინ სულ სხვას იფიქრებდი.

**შალვა.** (ხმამაღლა) შორიდანაც არ მაკადრებ, სოსლან, მოკითხვას? ნუგეშის ცემასაც ერიდები? ეგ იყო შენი მეგობრობის პირობა?

**სოსლ.** (ამპარტავნათ). მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლ-ნათესაობაზედაც მაღლა სდგას მამულისა და მეფის ერთგულება. ამაზე ფიცი მიმიღია და ფიცს არ გავტეხ.

**შალვა.** ვთქვათ, ფიც გამტეხი, მოღალატე თუნდაც ვიყო მე.
მაგრამ მომაკვდავს შენდობასა უძღვნიან ხოლმე!..
მეც განწირული, წავსდგები რა წინაშე ცისა,
ის განიხილავს უაღრესად ჩემს სინიდისსა
მაგრამა, თქვენ, თქვენ კი ვერ ბედავთ ბატონიშვილო,
სამარადისო გამოთხოვისას მითხრათ სალამი?!
ახლა ერთიცა იგულისხმეთ სულ სააღვილო,
რომ მე არა ვარ ფიც-გამტეხი და მოღალატე!
რომ ჩემს სიცოცხლეს ყოველ ჟამსა მე მასა ვლამი,
რაიცა ქვეყნის სამსახურად გულს დავიხატე
და რომლისაცა სიყვარულში, წინ ერთ ნაბიჯსა,
ვერ ვუთავაზებ, უკაცრავათ კი სულ ვერავისა.
რომ აგრე იყოს, მაშინ სოსლან, რაღას აპირებთ?
როგორა გნებავს, რომ გარეცხო ყარტლი გონების?
(ნაწყენი გაუცდება სოსლანს).
სად უნდ ჩაკუჩნო სინიდისი, როგორა ჰფიქრობ?..
მაგრამ... კურდღლისა სინიდისი კი დამშვიდდების
ადვილად... დიახ, დიახ! ძლიერ ადვილად.

**სოსლ.** (ხმლის ტარზე ხელს დაიდებს) რა სთქვი? რას კადნიერობ? იცი პასუხს ვერ მოგთხოვ ხელშეკრულსა პატიმარს და ამიტომაც ჰბედავ!

**ზაქარ.** (აწყნარებს სოსლანს). როგორ გეკადრება! მოშორდი... აბა რასა გავს! მოშორდი. (გაუყვანს სოსლანს. აწყნარებს შალვას, რომელიც სოსლანს გასვლამდი მიაძახებს).

**შალ.** პატიმარი არ ვიყო, მეტსაც რომ გაგიბედავდი, ეს კარგად მოგეხსენება! შე ლაქუცო, ამხანაგო! ქალაჩუნა რაინდო!

**მესხი.** დაჩუმდი კაცო, ღმერთი თუ გწამს, რასა ჰყვირი! დაჩუმდი... ლამის მეფე გამობრძანდეს და გაიგონოს.

**გაბრიელი.** (შემოდის, ჩუმად გაივლის სცენას და მხედართ. და შალვას მოწყენილი ეტყვის) გაიარეთ ლაშქრის ბანაკთა ბოლომდი და მუნ მაიდანზე დაუცადეთ ჩემს მოსვლას. (გადის. მესხი და შალვა მოეხვევიან ერთმანეთს).

**შალვა.** მშვიდობით, შოთა! რა გითხრა ძმავ, რა მაქვს სათქმელი!
მხოლოდ ორიოდე სიტყვა მინდა, რომ გიანდერძო:
რაიცა მოხდა, რაც ახლა მჭირს, ეგე ყოველი
ბრალია ვინმე ჩემის მტერის... საქმეა კერძო!
გარწმუნებ, ძმაო, სიკვდილისა მე არ მეშინის,
ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის,
რომ ჩემი სვე და უბედობა არ ვის შეეხოს
და სიმშვიდეცა მე სულისა მით არ წამელოს!
ეგებ... ვინმესი... უმანკო და წმინდა სახელი..
შენ გაიგონო, უკადრისად წამოძახილი,
მაშინ მოველი მეგობრობას, ძმობას შენგანა.

**მესხი.** აბა ამაზე ჩაბარება მჭირია განა?
ვფიცავ ჩემს მზესა, ყელში ჩავცე ხანჯრი და დანა.

**შალვა.** ასეც ველოდი! გმადლობ შოთა სხვა რაღა გითხრა?
ჩვენებსა ყველას გამოთხოვის უძღვენ სალამი!
შეუნდობ ყველას... მასაც, საწყალი ვინც გამითხარა,
და შენდობასა ვითხოვ მეცა... არ ვარ ჰარამი
არც ვისმეს მტერი!.. ეგებ სულ მთლად არ დამივიწყოთ!
და როს ხანდახ დასხდებით რა, პურად, ნადიმად
როცა გალობა და ღიღინი ტკბილი დაიწყოთ,
თუ გაგახსენდეთ, წვეთი ღვინო ჩემად არჩივად
პურს გადაავლეთ, დაღუპულის სულის საოხად.
მშვიდობით შოთა!.. მოკითხვა ყველას!

**მესხი.** (პირს მიიბრუნებს და ცრემლებს მოიხოცს).
ყველანი გნახვენ; მეცა... მოგყვები. (შალვა გადის. გაჰყვებიან. სცენა ცარიელი რჩება. შემოდის ნელის ნაბიჯით, ჩაფიქრებული დემნა ხელში ღვლარჭად შეკრული თოკი უჭირავს, მიიხედ მოიხედავს და ისევ ჩაფიქრდება).

**დემნა.** (მარტო) წუთი სოფლისა ცხოვრება, წესი,
უნამუსო და უტიფარია!
კაცთ სასოება, თვით უმჯობესი
ცრუი ფარი.
ავი და ჭუჭყი მით იფარება
კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია,
სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება
რგორც ქარია.
რაც უნდა იყოს კაცი მართალი
მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია,
მასზე იტყვიან მხოლოდ: „საწყალი
რა სახმარია"?!
უხვი, სულგრძელი, სუსტთა მფარველი,
რაც იშვიათად საპოვარია,
ბრბოისა თვალში, ესე ყოველი,
ნაოხარია!
კაცმა თუნდ დაკლა დედა და მამა
დარჩა ქონება და მდიდარია...
თუ შეინახა და არ შეჭამა
საქებარია.
ზნეობით მტარვალს, გულქვა, ბოროტსა
სვემან არგუნა ლაშქარ-ჯარია,
სვრის რა სისხლითა სოფლის წალკოტსა,
გასახარია.
აგრე სიცოცხლე უკულმართობით
გაუგებარი,—საოცარია!
ღვთიური ნიჭი, მაღალი გრძნობით,
ჩვენში კვდარია!
და დედამიწას, სავსეს შვენებით,
დანაოის ზეცა პირმცინარია,
და ეს სამოთხე, კაცისა ვნებით,
საზიზღარია!

(სამი უკანასკნელი კუპლეტის დროს მეფე გამოდის კარავიდან და როცა დაინახავს დემნას, ყურს უგდებს მის დექსს. მეფეს თან ახლავან ჯავახიანი, წავქისელი, ორი მხედარი და სოსლანი. წავქისელს უჭირავს მეფის მუზარადი და ხმალი. მეფე წაიწევს დემნასაკენ, ვითომ დემნას ყურადღებას არ აქცევს და ჯავახიანს ელაპარაკება. დემნა დაინახავს რა მეფეს, გადააგდებს კისერზე ღვლარჭს და იცდის).

(შემდეგი იქნება).

უგ. თავ. გ. შარვაშიძე.

ქართული თეატრი ამ შრომისათვის მას მადლობას ვერ ეტყვის.

ყოველ ნაწარმოებს სანამ მას გაასახიერებდენ სცენაზედ, უნდა შეუფასდეს ღირებულება, გაესინჯოს მხატვრული და შემოქმედებითი მხარე, და სწორედ სამწუხაროდ ამ შეფასებას ბ ნმა ურუშაძემ მთლიანად უღალატა.

კიდევ მადლობა გვმართებს, რომ ამ ფარსში, რომლისთვისაც არ ვიცი რათ, კომედია დაურქმევიათ, „წესიერება" დაცულია მით, რომ მომქმედნი პირნი მხოლოდ ნახევრად ტიტვლდებიან და ისიც შირმების უკან, საუბრის დროს კმაყოფილდებიან მხოლოდ ორაზროვანი სიტყვებით და თავის მოქმედებას, „მოვალეობის შესრულებას" რეალურად არ ანხორციელებენ...

შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ სხვაგან სდგამენ და „სტკბებიან" ამგვარი ფარს-კომედიებით?

— დიახ, მართალია, შეგვიძლია ვუპასუხოთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ბატონებო, ჩვენი თეატრის პირდაპირი დანიშნულება.

ჩვენ ვეპყრობით ჩვენს თეატრს როგორც ტაძარს, რომლისგანაც მოველით ჩვენი დაკოდილი გულის განკურნებას, ჩვენი ცოდვებისა და ბიწიერების განწმენდას.

ჩვენთვის თეატრი მარტო დროის გასატარებელი დაწესებულება როდი არის, იქ ჩვენ ზნეობისა და გრძნობის საკურთხეველს უნდა ვსჭვრეტდეთ. ჩვენი თეატრის სულის ჩამდგმელი მუდმივი სტუმარი არის ჩვენი მოზარდი ახალგაზდობა — ქალი და ვაჟი — მაშ რა ხელი აქვს ასეთ პიესებს ჩვენს სცენაზედ?!.

ისეთი პიესა როგორც „დამთხვეული დედაკაცი" საზრდოა მხოლოდ ძარღვებ მოშლილი, სისხლ მოწამლული და სიცოცხლის ასაქით გამოცლილი მაყურებლისათვის და რაზედ გსურთ, თქვენდა უნებურად, გაამრავლოთ, ბატონებო, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი მანკიერები.

მხიარული კომედიის წინააღმდეგი ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არა ვართ.

პირიქით, ჩვენს მძიმე და სევდით მოცულ დროში, ხანდახან საჭიროა სიცილის გამოწვევაც, დროთა სიმძიმის ოდნავ შემამსუბუქებელი და გულის ცოტათი მაინც გადამხალისებელი. მაგრამ სიცილი ჯანსაღი, წმინდა ხელოვნებით გამოწვეული, ამისი მაგალითი თუნდ იმავე ღამეს ამ ფარსის შემდეგ დადგმული ვოდევილი იყო, რომლის ხელოვნურად შესრულების დროს ბბ-ნთ ვასო ურუშაძისა და ბარველის საუცხოო თამაშის წყალობით, საზოგადოებამ ბევრი იცინა, და ეს სიცილი სრულიად არ წააგავდა იმ ვულგარულ სიცილს, რომელსაც იწვევდა ხოლმე ზოგიერთ მსმენელში ეს სასახელო ფარსი.

თუ აფასებთ თქვენ თვითონ ხელოვნებას, გიყვართ იგი და გულწრფელათ გსურთ სცენის სიწმინდე და სამსახური — დაგვიფარეთ „დამთხვეული დედაკაცებისაგან"!..

**ჯაფარ-ფაშა.**

P. S. დიდათ პატივცემული ბ-ნი ჯაფარ-ფაშა მეტად ლმობიერათ ექცევა გუშინდელ წარმოდგენას. ჩვენის აზრით ეს წარმოდგენა სრული გმობის ღირსია. როგორც პირველი, ისე მეორე პიესა უსაძაგლესი რამ იყო და ჩვენა გვგონია, რომ მხოლოდ ღრეჭა-სიცილისათვის იყო დადგმული.

ასეთი მოქმედება კი არ ეპატიებათ არც დასის გამგეს და არც მის ამხანაგებს.

იმედი გვაქვს, მეორეთ აღარ ჩაიდენენ ასეთ სიგლახეს, თუ ცოტათი პატივს მაინცა სცემენ საზოგადოებას, თუ უნდათ რომ საზოგადოებამაც პატივი სცეს მათ.

**რედაქტორი.**

## შუშანიკა იმნაიშვილის დაკრძალვა დ. ლანჩხუთში.

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც გავემართეთ მახლობელ სოფელ შუხუთისკენ ძვირფასი ადამიანის შუშანიკას გვამის სამუდამო გამოსათხოვებლათ. ცას შავი ღრუბელი გადაკვროდა და გამუდმებით წვიმდა, თითქოს დასტიროდა შუშანიკას ცხოვრებისაგან უდროოთ მოწყვეტილ გვამს...

კუბო შემკული იყო ცოცხალი გვირგვინებითა და ყვავილებით. მეტათ საყურადღებო და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საზ. საყურადღებოთ მამა ე. ჩხაიძემ, რომლის შინაარსი მოგვყავს შემოკლებით: „ბ-ბო! ჩვენ თითქმის შევეჩვიეთ უბედურებას... სიკვდილს! ხშირათ ვკრიბებით ამა თუ იმ მკვდრის გარშემო, მაგრამ, არამგონია, ჩვენ, სოფლელებს, ისეთი ცხედრის წინაშე მოგვეყაროს თავი, როგორიც შ. იმნაიშვილის ცხედარია... ბ-ბო, შუშანიკა იყო მეტათ ნიჭიერი ახალგაზდა, გამრჯე, მხნე და დაუღალავი ადამიანი. არ კმაყოფილდებოდა მარტო სწავლით და როცა კანიკულებზე სოფლათ დაბრუნდებოდა ხოლმე, ერთ წუთსაც არ იყო უსაქმოთ. ის არ იყო უკადრისი, ამპარტავანი და „ზოგიერთებივით" უქმათ მყოფი ადამიანი. მას ღრმათ სწამდა, რომ შრომას ვერაფერი ვერ გაუმაგრდებოდა. და როგორც ასეთი რწმენის ადამიანი, იგი სიცოცხლეში ცოცხალი მაგალითი იყო ქართველი ქალებისათვის"

იყო მრავალი სამძიმრის დეპეში. გალობდა პატარა მოწაფეთა გუნდი მასწ. ნ. ჯუღელის მეთაურობით. პანაშვიდის გადახდის შემდეგ გულ დამწუხრებულმა საზ. ძვირფასი შუშანიკას გვამი სასაფლაომდი მიაცილა.

**კოკა ებრალიძე.**

## ბიბლიოგრაფია.

(დასასრული იხ. „სამშ." № 59).

**„გერმანიის საყოველთაო ომიანობის ლექსი"**. წიგნაკი შეიცავს 16 გვერდს. ძლიერ პატარა ტანისაა. წინ უძღვის გაურკვეველი სურათი, ვგონებ, ფაფანაკიანი იმერლისა... შესავლის მაგივრად დაბეჭდილია „თამარის ლექსი", ცნობილი ქართულს მწერლობაში. შემდეგ „ომის ამბები" იწყება. მოვიყვანთ მეტად კოჭლს ადგილებს:

**ვილგელმი.**

„ხუთ დღეში პარიჟს იღებდა,
მაგრამ შეემთხვა „სკ ნდალი",
და პაწაწინა ბელგიას
ათ დღეს ვერ უქნა ბანდალი".

„ბანდალი" ალბად იმიტომაა მოყვანილი, სიტყვა „სკანდალი" ურითმოდ რომ არ დარჩეს...

მოისმინეთ კიდევ სრულიად უხერხული ლექსი და სიტყვა: გერმანია ეუბნება ავსტრიას:

„შენი ასპარეზი მხოლოდ
ბელგრადის ქალაქიაო
და ვერც იგი აგიღია,
თავზე დაგესხმის ლაფიაო!". (9 გვ).

შემდეგი ლექსი მოისმინეთ:

„ავსტრიამ უთხრა—სერბიას:
გაგსრესავ როგორც ქიაო,
მე შენი სისხლი მწყურია,
მე შენი ხორცი მშიაო".

უნდა იყოს: „გაგსრესავ როგორც ქიასაო", თორემ ისე გამოდის, რომ ქია ვიღაცა სხვას სრესავს და არა ქიას სრესვენ...

ძლიერ კოჭლობს შემდეგი სტრიქონები: სერბია ეუბნება ავსტრიას, რომ იმის მხარეს გადმოვა

„ინგლისი, საფრანგეთიო
და იმდენს მოგდებს (თუ მოგდებენ?) ქეჩოში,
ვერც კი დათვალო რეთიო (?).

ალბად უნდა ეთქვა ავტორს: „რა ერთიო"—რამდენიაო და... „რეთი" კი გამოუვიდა ლექსის გულისთვის.

მთელი ლექსები საზოგადოდ მესტვირულია: პოეზიის ნასახი მათში არ მოიძებნება... აქა იქ კარგი ადგილიცაა, მაგრამ ძლიერ ცოტა. შემდგენელი, რომლის სახელი და გვარი ისტორიისთვის უცოდინარი იქნება, რადგან აღნიშნული არაა, ძლიერ ეტანება რითმებს, რის გულისათვის ხმარობს არ არსებულს და ან თვის მიერ მოგონილს სიტყვებს. ოსმალეთი, მაგალითად, ეუბნება გერმანიას:

„მე თუ აჴლა დავმარცხდები,
არც შენ გელის კეთილიო;
იქნებ შენცა ჩემსა შემდეგ
სულ გაგიქრონ ქექილიო(?!)

ნეტავ რა უნდა იყოს ეს სიტყვა: „ჯექილი"?... წიგნაკი 16 გვერდია, ღირს 10 კაპ. ფასი ერთობ ძვირია, თუ მხედველობაში მივიღებთ წიგნაკის სრულს უშინაარსობას...

განვიხილოთ აწ მეორე წიგნაკი: **„ახალი დრუჟინა და მათი სამშობლოს ლექსება"**... უნდა ეთქვათ: „მისი სამშობლოს", რადგან „დრუჟინა" მხოლოობითს რიცხვშია ნახმარი.

ბ. მიხ. შახბარათოვს ამ წიგნაკის პირველს გვერდზე დაუხატავს რუსულ ქუდიანი ქალი საქვეო გამომეტყველებისა... ალბად ამის მსგავს ხერხს გამომცემელი ხმარობს შეუგნებელ მკითხველთა მოსატყუებლად. წიგნის მეორე გვერდზე დახატულია ერთი ულაზათოდ შესრულებული სურათი. ამ სურათის ვერა გავიგე რა გარდა რუსულად დაბეჭდილი სიტყვისა: „Касса"... შესაძლოა, გამომცემელს სახეში ჰქონდა დაეხატა სურათი იმისა, თუ ომში წასულ ჯარის კაცთა ცოლშვილები როგორ აწყდებიან საქალაქო კასსას. ვფიქრობ, რომ დაახლოებით გავიგე სურათის მიზანი და დანიშნულება.

პირველი ლექსის სათაურია: **„სამშობლოს დამცველი"**... პირველი სტრიქონები მკითხველს დაარწმუნებს ლექსის სრულს უვარგისობაში.

„გაისმა: ომი დაიწყო,
გამოდით ახალ გაზდებო
რუსეთი განსაცდელშია,
აბა თუ რამეს არგებთო
მობილიზაცია უცბადა
მთელ საქართველოს მოედვა
და ცრემლის ფრქვევა შეიქნა
სუყველას ელდა ეცა
ილიკომ უთხრა თავის ცოლს:
„თავს მტერსა ვწირავ, რას ჯავრობ;
რაც რომ ძალა მაქვს ღმერთმანი
რუსეთს შევსწირავ—მას ვყვარობ.

და ქვემოდ სულ ამისთანა ბავშური ულოღიკო მსჯელობაა. ლექსი თავდება შემდეგი მარგალიტებით:

„იბრძვის ილიკო უდრტვნელათ,
იმარჯვებს გერმანელებზე;
ოღონდ სამშობლოს უშველოს,
და აცოცდება დიდ მთებზე"...

ავტორი ძლიერ სცდება, რომ არ გვიჩვენებს სად, რა ადგილს გაიმარჯვა ილიკომ გერმანელებზე, სად ასახელა მან თავისი სამშობლო და აგრეთვე რუსეთში, რომლის შესახებ ბრძანებდა: **„მას ვყვარობო."** თუ ილიკო ქართულ დრუჟინაში მსახურებდა, ეს დრუჟინა, როგორც ვიცით, გერმანიის საზღვარზე არ გაუგზავნიათ... ჩვენშივე დატოვეს. . გვარიანი ლექსია ამ წიგნაკში: **„წერილი შვილებთან"**... ძლიერ უშნო და სუსტი: „მამლის ყივილი"... ლექსი: „მოხუცის მოგონება" სიბრალულს ვერ გამოიწვევს შეგნებული ადამიანის გულში ისეთი კაცისადმი, რომელსაც თავის სიცოცხლე თვისის კუჭის სამსახურში გაუტარებია.. ამ ადამიანის სურვილები არ გასცილებია პირუტყვის სურვილებს... ის სწუხს:

„სად არის უწინდელი
ჩემი ეშხი სურვილი?!
როცა მქონდა დღე და ღამ,
სიყვარულის წყურვილი?!"
ცხრა ნაბადზე ვხტებოდი,
სულ მიდუღდა გულიო...
ლხინში და ქეიფშია
რა არ ჩემოდენია...
ქეიფი სიყვარული
გლახ ხელთა წამივიდა?

გვეყო, ბატონებო, ამდენი შექება ადამიანის იმ მხარისა, რომლითაც ის პირუტყვებისგან არ გაირჩევა... კარგი ჭამა, კარგი სმა, ხორციელ ვნებითნი მიდრეკილებანი, ჩამომავლობის გამრავლება, — ყოველივე ეს პირუტყვების კუთვნილებასაც შეადგენს... და შახბარათოვის მოხუციც იგონებს თვისი სიყმაწვილის ჟამის, ეშხს, არშიყობას, ცხრა ნაბადზე ხტომას, ქეიფში ათასგვარი უჯერო საქმის ჩადენას... კმარა ამდენი გახრწნა საზოგადოებისა,.. შეიბრალეთ ჩვენი ერი, თუ გსურთ მისთვის სიკეთე... ღვინომ და ქეიფმა—ლამის გადაშენებამდის მიიყვანოს ჩვენი ერი...

მესამე წიგნაკი, რომლის სათაურია: „ახალი რუსის და თათრის ომი და მოღალატე ასლან-ბეგის ახალი ლექსები", ისეთივე ნაკლულევანებითაა აღსავსე, როგორითაც პირველი ორი წიგნაკი. პირველს გვერდზე **პუშკინის** სურათია... (საიდან სადაო? რ.) დიდებული პოეტის სურათი სრულიად არ შეეფერება იმ უხამსო ლექსებს, რომლებსაც გვაძლევს წიგნაკი. წიგნაკი იწყება ასეთი შეუფერებელი ლექსებით:

„თათარი და რუსი ჩხუბობს,
იგი არის ორივ ერი,
ასლან-ბეგმა გვიღალატა—
გადავიდა ოსმალეთში".

არც რითმი და არც ლოღიკა ლექსში არ მოიძებნება. აიღეთ თუნდ წინადადება: **„იგი არის ორივ ერი"**.

ვინ უარყოფს იმას, რომ რუსები და თათრები „ორივე ერია". რა საჭირო იყო ეს წინადადება ამ ლექსში? წიგნის მეორე გვერდზე მოყვანილია ორი იმერლის საუბარი ომის შესახებ. წიგნში იმერთა საწინად აგდებაა და სხვა არაფერიც. ბ. შახბარათოვს ალბათ ძლიერ მოსწონ ლექსი: **„სამშობლოს დამცველი"**, რომელიც ზემოდ გავარჩიეთ... ბეჭდია ეს ლექსი და ამ წიგნაკშიაც მოუთავსებია იმავე შეცდომებით. თექვსმეტ გვერდიანი პატარა წიგნაკის ფასი 10 კაპიკია... სწორედ შეუფერებელი ფასია ასეთი დიდი ფასი პატარა წიგნაკისათვის.

დანარჩენი ორი წიგნაკის გარჩევაც გვინდოდა ისე, როგორც სამი წიგნაკი გავარჩიეთ... მაგრამ მხოლოდ მოკლედ შევეხებით, რადგან ჩვენთვის პრინციპიალურს მხარეს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ბ. შახბარათოვის თითოეულს წიგნაკს...

რას მოასწავებს შემდეგი ოთხი სტრიქონი:

„ეს სოფელი მისთვის მინდა
გავიცინო, გავიღრიჭო
თხა ხომ არვარ
გაზაფხულზე გავიკრიჭო?!"

თუ არა იმას, რომ მისი მქადაგებელი მისი ხალხში გამავრცელებელი ვერ უწევს კარგ სამსახურს ხალხსა. ჩვენი ხალხი ლამის დაილუპოს ჟამიანი და უჟამო დროს ქეიფის მოთხებით, უსაგნო სიცილით და ღრეჭით იქ, სადაც ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს... მას მაინც ჩასჩიჩინებენ:

„ეს სოფელი სიცილის და ღრეჭისათვის
მინდაო"...

უბედურია ის ერი, რომელიც მარტო სიცილსა და ღრეჭაში ატარებს თავის სიცოცხლეს, რომელსაც ჭამა-სმის და ლხინის გარეშე სხვა რამ არა მოეძებნება რა სატრფიალო, მისაზიდი საგანი... შხამის მსგავსი შედეგი ექნება შემდეგ სტრიქონებს:

„დალიე და დამილიე
ჯერ არაყი, მერე ლუდი,
ერთი მამა გიცხონდება,
მოიხადე თავზე ქუდი

(გვ. 10, 5-ე წიგნაკისა)...

თუ გულით გიყვარს ის ერი, რომლის ენაზეც შენ სწერ და წიგნებს ავრცელებ, მაშინ გაავრცელე ისეთი წიგნაკები, რომელთ შინაარსს შეუძლია მისცეს ამ ერს სარგებლობა, აღზარდოს იგი ზნეობრივად და ესტესტიურად, — გაავრცელოს მის წევრთა შორის თვითშეგნება გონივრული, ადამიანური... წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მას პურის ნაცვლად ქვას აწოდებ, ცხოვრების წყაროს მაგივრად — შხამს, — შენ არ ხარ ამ ერის მოყვარე... სჯობია, ხელი აიღო შენს ამგვარს მოღვაწეობაზე, და სხვა რამ მოსძებნო შენთვის ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად.

ბ. მიხ. შახბარათოვი, როგორც სჩანს, „ენერგიული ადამიანი ყოფილა!!." მას დიდი სურვილი ჰქონია ქართულს ენაზე წიგნების გავრცელებისა... ვიტყვი მეტსაც: **მისი ენერგია დაუშრეტელია...** ორასათი სხვა და სხვა სახელის წიგნის გამოცემა ხუმრობა საქმე არაა. უნდა ვთქვათ, მისი გამოცემანი გარეგნულად ვერ არიან კარგნი. არც კარგი ქაღალდი, არც [illegible]-გი ასოები, არც კარგი შინაარსი, არც რიგიანი სურათები, არც [illegible] ნიშნებია, არც კარგი კორექტურა (შესწორება) და სხვა... მაგრამ მოკლე დროს განმავლობაში ამდენი წიგნის გამოცემას მაინც გვარიანი შრომა და ჯაფა უნდა...

მართალია თანამედროვე მსოფლიო საბედისწერო ომმა გამოიწვია წყურვილი ისეთი წიგნების კითხვისა, რომელნიც ომს შეეხებიან, მაგრამ რუსულს მწერლობაში ჩვენ ვერ ვხედავთ იმის მსგავსს ვერაფერს, რასაც ქართულს მწერლობაში ვხედავთ. აქ ომის შესახებ მწერლობამ ქუჩურ-ბაზრული ხასიათი მიიღო, და ბოლო უნდა მოეღოს მწერლობის სახელის ასეთ შებღალვას!

ჩვენ გულით გვსურს მივაქციოთ ბ. მიხ. შახბარათოვის ენერგია, მისი გამომცემლობითი გამოცდილება ჩვენი მწერლობის სულ სხვა დარგს: სამეცნიერო წიგნაკებს, ჩვენს საბავშო მწერლობაში გაბნეულს მარგალიტებს, საისტორიო და სხვა საბელეტრისტიკო ნაწერებს და მოთხრობებს, თუნდა იმავე ომის შესახებ ჩვენი საუკეთესო მწერლების ლექსებს... ყოველივე ეს დაწერილია ნამდვილი კლასიკური ქართული ენით, ღრმა შინაარსიანია, სერიოზულია და დაჯილდოებულია საალმზრდელო მნიშვნელობით.

იმედი გვაქვს, რომ ბ. მ. შახბარათოვი შემდეგში ლაზათიანად გამოსცემს სხვა უფრო საყურადღებო და ღირსეულს ქართულს წიგნაკებს და მით სამსახურს გაუწევს ჩვენი მწერლობის განვითარებას, რომლის სიყვარული მას არ შეიძლება არ ჰქონდეს. *)

**ილ. ფერაძე.**

*) არ შეგვიძლია დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს. შახბარათოვები ერთგვარი ჩარჩები არიან, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი დაბალი მკითხველის წყურვილით წიგნებისადმი და რადგანაც ამ მხრივ ჩვენს ხალხს პატრონი არა ჰყავს, ეშმაკები ეპატრონებიან მას. დროა განიდევნონ ასეთი გამომცემლები და ან სასტიკათ ვადევნოთ მათ თვალყური.

რედ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**ახლა იბეჭდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

მოიკითხეთ ყველგან

# ახალი ქართლი

**გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით**

**ცალკე ნუმერი ერთი შაური**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| **დაკვეთის ფასი:** | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.